საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-668

30/07/2020

ქ. თბილისი

სს „აბდ ენდ კო.“ -ს ბიოლოგიური ნარჩენების განთავსების (ბეიკერის ორმო) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ქართულ სახლზე“ გადაცემის შესახებ

2020 წლის 17 ივლისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს სს „აბდ ენდ კო.“-ს და შპს „ქართული სახლის“ დირექტორებმა. სს „აბდ ენდ კო.“-მ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ქართულ სახლზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2016 წელს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ სს „აბდ ჯორჯიას“ ბიოლოგიური ნარჩენების განთავსების (ბეიკერის ორმო) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე (ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. აკაურთა) გაცემულია №3 (26.01.2016) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 2016 წელს მოხდა სს „აბდ ჯორჯიას“ შერწყმა სს „აბდ ენდ კო.-სთან“ და იგი ჩამოყალიბდა სს „აბდ ენდ კო.-ს“ სახელით. შესაბამისად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2020 წლის 3 ივლისის №2-565 ბრძანებით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცა სს „აბდ ენდ კო.“-ზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „აბდ ენდ კო.“-ს ბიოლოგიური ნარჩენების განთავსების (ბეიკერის ორმო) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 ივლისის №2-565 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „ქართულ სახლს“;

2. შპს „ქართულმა სახლმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 ივლისის №2-565 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ქართულ სახლს“ და სს „აბდ ენდ კო.“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ქართული სახლისა“ და სს „აბდ ენდ კო.“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი